პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 207 (6262)

21 ოქტომბერი, შაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა პოლონელ მთამსვლელთა ექსპედიცია ა. ზავადას ხელმძღვანელობით. ექსპედიცია ინდოეთის ჰიმალაებში მიემგზავრებოდა.

და აი, პოლონელ მთამსვლელთა ერთი ნაწილი (დანარჩენები ინდოეთიდან გაფრინდნენ სამშობლოში) კვლავ თბილისშია. პოლონელებმა დუნაგირის მასივზე სამი მწვერვალი დაიპყრეს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: პოლონელ მთამსვლელთა ჯგუფი, რომელმაც გზად თბილისში გამოიარა: ა. ჩასკა (მარცხნიდან), ს. საგანეკი, ი. სმელა, ს. ქეჟნიკი, ბ. სჩელსკი, ჟ. როშაკი და შ. კოვაჩკოვსკი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ბაგიო. ფილიპინები

## ამხანაგ ანატოლი ევგენის-ძე კარპოვს

ძვირფასო ანატოლი ევგენის ძევ!

ძალიან გამახარა თქვენმა დეპეშამ. მხურვალედ და გულითადად მოგილოცავთ გამარჯვებას პასუხსაგებ და ძნელ მატჩში.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს იმით, რომ თქვენ მძიმე, შეუპოვარ ბრძოლაში გამოიჩინეთ მაღალი ოსტატობა, ურღვევი ნებისყოფა და ვაჟკაცობა, ერთი სიტყვით, — ჩვენი საბჭოური ხასიათი.

მწამს, რომ თქვენ კვლავაც ამრავლებთ შემოქმედებითს მიღწევებს და დიდ წვლილს შეიტანთ ჭადრაკის ხელოვნების საგანძურში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად.

ლ. ბრეჟნევი.

## ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიას ძევ!

ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის მიმდინარე მატჩი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

გულითად მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მამაშვილური მზრუნველობისა და ყურადღებისთვის, რომელსაც ჩემსა და ჩვენი დელეგაციის მიმართ იჩენდით მატჩის მომზადებისა და მიმდინარეობის დროს.

აღვუთქვამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, აღგითქვამთ პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, რომ მომავალშიც ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ვამრავლო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის სახელი და დიდება.

მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი.

1978 წლის 18 ოქტომბერი, ბაგიო, ფილიპინები.




## „მე მწამდა გამარჯვება"

— მე მწამდა გამარჯვება. მადლობას ვუხდი ყველას, ვისაც სჯეროდა, რომ გავიმარჯვებდი. შორეულ ბაგიოში დღენიადაგ ვგრძნობდი სამშობლოს ყურადღებას, — ასე დაიწყო თავისი ინტერვიუ სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან ა. როშალთან ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. — მას შემდეგ, რაც 31-ე პარტიაში ხელიდან გავუშვი ყაიმი, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო დამესვენა, როგორმე შემეცვალა ვითარება, მომენელებინა დახანანი შეგრძნებები. ტაიმ-აუტის დროს მანილაში წავედი — არც ისე ახლოა, ხუთი საათი უნდა ავტომობილით, თანაც სულ მთის გზებით, მაგრამ ძალიან მინდოდა ჩვენი კალათბურთელების თამაშის ნახვა. ამ მგზავრობამ (ხომ ხდება ხოლმე) კი არ დამღალა, პირიქით, გამამხნევა; 32-ე პარტიაში, რომელსაც თეთრებით ვთამაშობდი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის განვეწყვე და როცა უკეთესი პოზიცია მივიღე, საკუთარ თავს ვარწმუნებდი: „არ იჩქარო-მეთქი!" — მახსოვდა, რომ მიღწეული უპირატესობის სასწრაფო რეალიზაციის წყურვილს არაერთხელ მოჰყოლია მარცხი ამ მატჩში.

— გაქვთ თუ არა სრული კმაყოფილების გრძნობა?

— ეს, ალბათ, ყველაზე ძნელი კითხვაა. მატჩს მრავალი ასპექტი ჰქონდა. მაშასადამე, აქ უმთავრესი იყო საბოლოო გამარჯვება. ამით ულავოდ კმაყოფილი და გახარებული ვარ, რადგან შევძელი მთავარი ამოცანის შესრულება. მაგრამ ანგარიში 6:5 მთლად ხელს არ მაძლევს, რადგან, როგორც თვით შეჯიბრების მიმდინარეობაც ადასტურებს, მეტის მიღწევა შემეძლო. ჯერჯერობით, ალბათ შეჯიბრების შემოქმედებითი შედეგების შეჯამება ნაადრევია — უფრო დეტალური საჭადრაკო ანალიზისათვის დრო არის საჭირო. ჯერჯერობით შემიძლია აღვნიშნო მხოლოდ ჩემს მიერ მოგებული მე-8, 27-ე და 32-ე პარტიები. მაგრამ ლამის საუკეთესო პარტია აღმოჩნდა 25-ე, სადაც ხელიდან გავუშვი მოგება, სამაგიეროდ ამ გადადებული პარტიის დამთავრების დროს მართლაც კარგად ვიცავდი თავს.

— ამაში დაგეხმარათ გულმოდგინე საშინაო ანალიზი?

— რა თქმა უნდა. და აქ კეთილი სიტყვით მინდა მოვიხსენიო ჩემი სეკუნდანტები — დიდოსტატები ი. ბალაშოვი და ი. ზაიცევი, აგრეთვე მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ტალი, რომელიც დიდად მეხმარებოდა თავისი მკვიანური რჩევით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენს დელეგაციას, რომლის წევრები და ხელმძღვანელობა ყოველთვის იზიარებდნენ ჩემს სიხარულსა და ნაღველს და მიცავდნენ ყოველგვარი უსიამოვნებისაგან.

— თქვენს მეტოქესაც ჰყავდა თანამემწენი?..

— რა თქმა უნდა, ჰყავდა. მაგრამ კორჩნოის არ ჰქონდა ესოდენ მძლავრი მორალური დასაყრდენი. მე ხომ საბჭოელი ქომაგები მიჭერდნენ მხარს. ჩემი საქმე სახელმწიფო მოღვაწეებსაც აინტერესებდათ და მოსწავლეებსაც; დეპეშებსა და წერილებს ვიღებდი კომკავშირელებისა და პენსიონერებისაგან — ყველას წარმატება სურდა და მე ხება არ მქონდა, არ გამემართლებინა მათი მოლოდინი.

მინდა აღვნიშნო, რომ აქ, ბაგიოში, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ მატჩს კარგ პირობებში ჩაევლო. მე უკვე გადავუხადე მადლობა მაყურებლებს, არბიტრებსა და მატჩის ორგანიზატორებს იმისათვის, რომ შეძლეს დაეძლიათ ყოველგვარი სიძნელე, ტაიფუნების გარდა. უნდა ვთქვა: ეს იყო უმაღლესი დონის პირველი მატჩი, რომელიც აზიის კონტინენტზე გაიმართა. და უდავოდ, მან დიდი როლი შეასრულა ქვეყნიერების ამ ნაწილის ჭადრაკის განვითარებაში.

— ძალიან მოგენატრათ სამშობლო?

— მერედა, როგორ! რაც ვინდა იყოს, ლამის მესამედი წელია შინ არ ვყოფილვარ, გულითადი სალამი და მადლობა ყველას, ვინც მშობლიურ მიწა-წყალზე მელის.

### კარპოვის შესახებ წერენ და...

ფილიპინების ყველა გაზეთი ფართოდ აშუქებს ა. კარპოვის გამარჯვებას. „ტაიმს ჟორნელი" წერს, რომ ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატმა შესანიშნავად მოიგო უკანასკნელი, 32-ე პარტია და ეფექტურ გამარჯვებას მიაღწია უძნელეს, მწვავე მომენტებით აღსავსე მატჩში. „იგი ღირსეული ჩემპიონია" — ხაზს უსვამს გაზეთი.

ამერიკული სააგენტო იუპი აკეთებს დასკვნას: „კორჩნოიმ საჭადრაკო დაფასთან წააგო. იგი კუთხეში მოიმწყვდია კარპოვმა 32-ე პარტიაში, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა".

უკანასკნელ პარტიაში პრეტენდენტი, აღნიშნავს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, კვლავ განიცდიდა ცაიტნოტის სიძნელეებს და ძლივს ასწრებდა საათის გადართვას, „მაგრამ როცა იგი დროის ლიმიტში მაინც ჩაეტია, მისი პოზიცია უკვე განადგურებული იყო".

„ანატოლი კარპოვმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული" — ასე დაასათაურა მატჩისადმი მიძღვნილი მთელი გვერდი ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა".

„კარპოვმა დაიცვა ჩემპიონის ტიტული", „კარპოვი კვლავ უძლიერესია" — ასეთი სათაურებით გამოვიდნენ იუგოსლავიის გაზეთები. „იმ დროს, როცა ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა ჩემპიონი ვერ გაუძლებს დაძაბულ ბრძოლას, მან გადამწყვეტ მომენტში მობილიზება გაუკეთა მთელ თავის ძალებსა და ნებისყოფას", — აღნიშნავს იუგოსლავიის „ვეჩერნე ნოვოსტი".

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" (გდრ) წერს: „თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით 32-ე პარტიაში ანატოლი კარპოვმა პირველად და წარმატებით დაიცვა უმაღლესი „საჭადრაკო გვირგვინის" ფლობის უფლება. მეტისმეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში მან დაამტკიცა, რომ ამჟამად მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეა".

### ...გამარჯვებას ულოცავენ

საბჭოთა დიდოსტატს, მსოფლიოს ჩემპიონს ა. კარპოვს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტმა მ. ეიუემ და ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ი. ბაკერმა. ამსტერდამიდან გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია: „გილოცავთ ტიტულის შენარჩუნებას".

ა. კარპოვის მისამართით ასობით მისალოცი დეპეშა მიდის საბჭოთა კავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან. მას გამარჯვება მიულოცეს ავსტრიის, არგენტინის, ბრაზილიის, ისლანდიის, ფილიპინების, გფრ-ის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ეროვნულმა საჭადრაკო კავშირებმა.

## საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოში სტუმრად იყვნენ ფინეთის სპორტული საზოგადოების კავშირის ტულ-ის პრეზიდენტი მ. ახლე, ვიცე-პრეზიდენტი ვ. კივი და ამავე ორგანიზაციის წევრი ტ. უსკოიენი. სტუმრებს ახლდა საკავშირო პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხრომოვი.

ფინელ სტუმართა მიზანი იყო საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაცნობა, ფაბრიკა-ქარხნებში და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების, აგრეთვე, ბავშვთა შორის ფიზიკური აღზრდის საკითხების შესწავლა.

ამ მიზნით სტუმრები გორის სპორტსკოლას ეწვივნენ, სადაც იქაურ მოჭიდავეთა მეცადინეობას დაესწრნენ. რუსთავში დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის სპორტული ბაზები. ნახეს ქიმიური კომბინატის მშენებარე საცურაო აუზი და სპორტული დარბაზი.

სტუმრებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის სპორტულმა ბაზებმა. მათ შორის „ბურევესტნიკის" მშენებარე 2-დარბაზიანი სპორტული ბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობამ, საქართველოს პროფკავშირების მძლეოსნურმა მანეჟმა, თბილისის „დინამოს" სტადიონმა. სტუმართა აზრით, ეს უკანასკნელი მსოფლიოს 10 საუკეთესო სტადიონის რიცხვში შევა. დიდი მოწონება დაიმსახურა, აგრეთვე, თბილისის ახალმა საცურაო აუზების კომპლექსმა.

გუშინ ფინელი სტუმრები მიიღო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა. საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი. სტუმრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე, კერძოდ პროფკავშირების სისტემაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სტრუქტურაზე, ბავშვთა შორის ფიზაღზრდის საკითხებზე და სხვ.

### ფავორიტები წინ მიიწევენ

უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე მორიგ წარმატებებს მიაღწიეს გათამაშების ფავორიტებმა: ქვეყნის ჩემპიონმა — მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" და ექს-ჩემპიონმა — რიგის ტტტ-მ. პირველმა (იგი ლენინგრადის ჯგუფში ასპარეზობს) ანგარიშით 105:67 (51:40) სძლია ნოვოსიბირსკის „დინამოს" და 93:68 (47:42) — დნეპროპეტროვსკის „სტალს", ხოლო მეორემ — ალმა-ათაში დაამარცხა ადგილობრივი „უნივერსიტეტი" — 79:59 (45:28) და სვერდლოვსკის „ურალმაში" — 94:46 (36:16).

ნევისპირა ქალაქში გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: დნეპროპეტროვსკის „სტალი" — „ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 81:64 (43:36), ლენინგრადის „სპარტაკი" — ვილნიუსის „კიბირკშტისი" — 64:56 (31:36), ნოვოსიბირსკის „დინამო" — „ლენინგრადის „სპარტაკი" — 80:79 (45:29), „კიბირკშტისი" — ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 81:63 (38:38).

აი ყაზახეთის დედაქალაქში გამართული მეორე და მესამე ტურების დანარჩენი მატჩების შედეგები: სვერდლოვსკის „ურალმაში" — კიევის „დინამო" — 88:72 (41:33), მოსკოვის „დინამო" — ცსკა — 86:67 (47:43), ალმა-ათის „უნივერსიტეტი" — ცსკა — 72:71 (32:30), მოსკოვის „დინამო" — კიევის „დინამო" — 94:67 (45:31).

კალათბურთი

გუშინ საქართველოს ტელევიზიით მოეწყო სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღე, რომელიც მიეძღვნა რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავს და ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოებას. ქვემოთ ვაქვეყნებთ

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

# ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვას

## რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე

# სიტყვა სომხეთზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს სომხეთის მიწა-წყალზე ჭეშმარიტად დიდი და ნათელი დღესასწაულია.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი ქვეყნის მთავრობის, ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი, თბილი მილოცვა, მისი მხურვალე სალამი სომეხი მშრომელებისადმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ჩვენს პარტიაში ერთ-ერთმა ყველაზე პატივცემულმა ადამიანმა დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვმა გადმოგცათ, დღევანდელ ზეიმს განსაკუთრებულ ლაზათს მატებს, განსაკუთრებულ საზეიმო განწყობას ქმნის. და ყველას, დღეს აქ შეკრებილთ ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ლეონიდ ილას ძე აქ, ამ დარბაზში ჩვენთან ერთად იყოს. (**მქუხარე ტაში**).

დღეს სომხეთში ნამდვილი ძმობის, გულთა კავშირის ზეიმია. ამ ზეიმს რომ მოსწრებოდა, ალექსანდრე სერგის ძე პუშკინს, რომლისთვისაც ესოდენ ძვირფასი იყო სომხეთის, ისევე როგორც მთელი კავკასიის ბედი, აღმოხდებოდა: „ო, მეგობრებო, კურთხეულია ეს ჩვენი ძმობა!“...

ამ ძმობას — რუსეთისა და სომხეთის კავშირს — პუშკინი, დიდი რუსი ხალხის სასიქადულო მამულიშვილი, სულითა და გულით მიესალმა 150 წლის წინათ.

დღეს, 150 წლის შემდეგ ამ კავშირზე, რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის ისტორიულ მნიშვნელობაზე, სომეხი ხალხის ბედიღბლის განმსაზღვრელ იმ თვალსაჩინო მოვლენაზე, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სომხეთის შემდგომ სოციალურ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაში, შესანიშნავად ილაპარაკა თავის მოხსენებაში ყველა ჩვენგანისათვის დიდად პატივცემულმა კარენ სეროფის ძე დემირჭიანმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა მოძმე სომეხ ხალხს მხურვალედ მივესალმები ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით, მინდა ისიც ვთქვა, რომ სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ბედი ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს.

სომხეთი და საქართველო მართლაც რომ ძმები არიან. ხალხური თქმულება ამბობს, და ეს აკი გუშინაც გამახსენეს კანაკერის ალუმინის ქარხანაში შეხვედრისას, რომ ჩვენი წინაპარნი იყვნენ ღვიძლი ძმები ჰაოსი და ქართლოსი — სომეხი და ქართველი. ჩვენ ოდითგან ვმეზობლობთ და ვცხოვრობთ, როგორც უერთგულესი და უახლოესი მეგობრები! (**ტაში**).

გვქონია ჩვენ დავა? დიახ, გვქონია! მაგრამ ეს დავა, და საქმაოდ ცხარეც, უმთავრესად იმაზე გვქონდა, თუ რომელი ძმა იყო უფროსი — ჰაოსი თუ ქართლოსი? (**გამოცოცხლება დარბაზში**). სომეხიც და ქართველიც თავისი წინაპრის უფროსობას იჩემებდა, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდა, რომ უფროსი ძმის უფლებით პირველს ემიშვლა ხმალი და პირველი შებმოდა მტერს, მკერდით დაეცვა უმცროსი ძმა (**ტაში**). ასეთი იყო ვაჟკაცობის კანონი! და სწორედ ეს რაინდული კანონი ამოძრავებდათ ქართველებსა და სომხებს, როცა ჩვენს მიწა-წყალს უცხოელი დამპყრობნი შემოესეოდნენ ხოლმე, როცა ორივე ძმა ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი უფროსობა, ერთდროულად ებმებოდა ბრძოლაში და ერთად სძლევდა ხოლმე მტერს. მე და კარენ სეროფის ძემ ვთქვით, რომ ეს პარტიული, სახელმწიფოებრივი საქმეა და დიდი ხნის არქეოლოგიური და ისტორიული კვლევა-ძიების შედეგად დავასკვენით, რომ ჰაოსი და ქართლოსი უბრალოდ ძმები კი არა, ტყუპის ცალები ყოფილან. (**გამოცოცხლება დარბაზში, ხანგრძლივი ტაში**). რაც შეეხება უფროს ძმას, ჩვენ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს, გვყავს ერთი უფროსი ძმა — დიდი რუსი ხალხი! (**ხანგრძლივი ტაში**).

როცა დიდი ხაჩატურ აბოვიანი „სომხეთის ჭრილობებზე“ წერდა, იგი საქართველოს ჭრილობებსაც გულისხმობდა, იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხებმა თანაბრად გადაიტანეს დაუნდობელ დამპყრობთა თვითნებობა, და განთავისუფლების იმედებს ჩვენ ერთად ვუკავშირებდით რუსეთს, რუს ხალხს. სწორედ მას — დიდ, გენიალურ რუს ხალხს — მიმართეს ჩვენმა ხალხებმა თავიანთი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ყველაზე დრამატულ მომენტში. და ახლა ჩვენც ასევე ვემზადებით ქართველი ხალხის დიდი ინტერნაციონალური და ეროვნული დღესასწაულისათვის — რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მე-200 წლისთავისათვის. როგორც სომხეთისათვის, ისე საქართველოსათვის, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გახდა შემობრუნების მომენტი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მთელს მათს ისტორიაში.

ასე ვეძმეთ ჩვენ საუკუნოდ რუსეთს! (**ხანგრძლივი ტაში**).

ჩვენ რუსეთიდან მოგვივიდა ლენინური იდეების ნათელი და ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი, რომელიც ყველა ხალხისათვის კაცობრიობის ნათელი მომავლის დასამკვიდრებლად ბრძოლის დროშად იქცა.

ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასია ის, რომ ლენინი ასე მზრუნველად, ასეთი გულისყურით აწრთობდა ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა ლეგენდარულ პლეადას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უერთგულეს რევოლუციის დროშას, ლენინის ანდერძს, კომუნიზმის იდეებს. ჩვენთვის ძვირფასია კავკასიის კომუნისტებისადმი ვლადიმერ ილიას ძის წერილები, რომლებიც გამსჭვალულია უღრესი სათნოებითა და მომხიბლავი გულითადობით; ჩვენთვის უსაზღვროდ ძვირფასია მისი ანდერძი, რომელსაც ასე წმიდად ასრულებენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

დღეს განსაკუთრებით მშვენიერია სომხეთი — მაღალგანვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკა. სომხეთის ეს მიღწევები აღინიშნა კიდევ ერთი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, რომელიც დღეს მიაბნია რესპუბლიკის დროშას დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვმა. ამ დიდ მოვლენას ყველას გულითადად გილოცავთ! (**ტაში**).

სულ ახლახან კი ლენინის ორდენი მიენიჭა ბაქოს — აზერბაიჯანის ლამაზ დედაქალაქს. (**ტაში**).

იმ დღეებში ბაქოს ხმას ისმენდა ერევანი, ისმენდა თბილისი, ისმენდა ყველა ქალაქი, მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო. ამოცანები, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა რომ დაუსახა აზერბაიჯანის მშრომელებს, მოქმედების საბრძოლო პროგრამაა, აგრეთვე, საქართველოს, სომხეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელისათვის, მთელი ჩვენი პარტიისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის. და ეს პროგრამა უთუოდ შესრულდება! (**ტაში**).

ნიშანდობლივი და სიმბოლურია ისიც, რომ რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150-ე წლისთავი აღინიშნება სწორედ მაშინ, როცა ზუსტად ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც მივიღეთ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის დიადი ქარტია, რომლის შემოქმედიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევია. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

...ერთი წელი — განვლილი 150 წლიდან. სულ ერთი საბჭოური წელი, მაგრამ მასშიც, როგორც ბროლის წახნაგში, გამოსჭვივის ყოველივე ის, რასაც საბჭოთა სომხეთმა მიაღწია. და ჩვენ ვხედავთ, როგორ ბრწყინავს, როგორ ელვარებს ეს ჯადოსნური თვალი პატიოსანი — ჰაიასტანი, ქვეყანა სომეხთა — საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, რა მკვიდრად ზის იგი დიდი ოქტომბრის მიერ გამოჭედილ უზადო ბეჭედში. ამქვეყნად კაცი არ მეგულება, რომ სომხეთის მადლიან მიწა-წყალზე მოხვდეს და იგი მისმა სილამაზემ არ მოაჯადოოს.

როცა ეხები ერებუნის ცხელ ქვებს, ადამიანის ხელის სითბო რომ შემოუნახავთ, როცა მონუსხული შეჰყურებ გარნისა და ზვართნოცს, თვალს ვერ სწყვეტ მატენადარანის საკვირველ მანუსკრიპტებს და უებრო მინიატიურებს. როცა დღევანდელი ერევნის მოედნებზე და ქუჩებში დააბიჯებ, აკვირდები, როგორ შენდება და მშვენდება ქალაქები და სოფლები, როცა ყურს უგდებ ფაბრიკა-ქარხნების ძალუმ შრომითს რიტმს, ხარობ წალკოტად ქცეული ბაღებისა და მინდვრების ცქერით, გრძნობ სამეცნიერო ლაბორატორიებში პირველმკვლევართა და პირველაღმომჩენთა მჩქეფარე გულისცემას, — ხვდები, თუ რა უბადლო საუნჯეა მოქცეული სომხეთის მთებსა და ხალხის გულში! ხვდები, და უფრო ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით იმსჭვალები სომხეთის გმირი მუშათა კლასის ღონიერი, გონიერი, გამრჯე, მოუღლელი მარჯვენისადმი, მისი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, მისი შესანიშნავი სახალხო ინტელიგენციისადმი, ჯეროვან პატივს მიაგებ რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის აღმშენებლობითს ენერგიას, მტკიცედ, ბრძნულად წარმართულს შესანიშნავი საბრძოლო, რევოლუციური ტრადიციებით სახელოვანი სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. რევოლუციური შემოქმედებისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის, ძმური ერთიანობის სულისკვეთება სუფევს საბჭოთა სომხეთში! (**ტაში**).

...ამ დღეებში თქვენს მადლიან რესპუბლიკაში ყველგან თვალს ჭრის მარტიროს სარიანის განუმეორებელი ფერები, ყურში ჩაგვესმის კომიტასისა და არამ ხაჩატურიანის მელოდიები, ავეტიქ ისააკიანის რითმები, გრაგნილივით იშლება ალექსანდრე თამანიანის არქიტექტურული ჟამთააღწერა. მოგვესმის მარშალ ბაგრამიანის მტკიცე ნაბიჯი, ცის ტატნობიდან კი ადამიანებს დაჰნათის თანამედროვეობის დიდი მეცნიერის ვიქტორ ამბარცუმიანის ვარსკვლავები. (**ტაში**).

საკვირველი, ჭეშმარიტად გასაოცარი და დიდებულია სომხეთი!

მრავალჟამიერ იხარე და იდიდე ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მზის ქვეშ, ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიის მზის ქვეშ, სოვეტაკან ჰაიასტანო! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

## სპორტული სამტრედია

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

წარმატებით იასპარეზეს და პირველი ადგილი მოიპოვეს დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა საჯავახოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა გუნდი, ხოლო მესამეზე — ლანირის საბჭოთა მეურნეობის ნაკრები. წონითი კატეგორიების მიხედვით რაისაბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ა. წოწოლაშვილი, რ. ჭკადუა, ო. კილაძე, თ. ცქიტიშვილი, გ. კალანდარიშვილი, შ. ქუთათელაძე, გ. მუკბანიანი, ა. მაჩიტაძე.

• • •

სამტრედიის საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური გუნდური პირველობა რუსულ შაშში. გაიმარჯვეს სამტრედიელებმა, II-III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ქუთაისისა და ლენტეხის რაიონის გუნდები.

ი. ნიკოლეიშვილი.

# ევროპის ფეხბურთის დღე

18 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ოფიციალური შეხვედრები, რომლებშიც სსრ კავშირიდან მონაწილეობდნენ თბილისის „დინამო", კიევის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო".

●

ბერლინი. ოლიმპიური სტადიონი. 18 ოქტომბერი.

„ჰერტა" (დასავლეთ ბერლინი) — „დინამო" (თბილისი) 2:0 (1:0).

„ჰერტა": ნიგბური, ზიდატი, ბრიუკი, ფერსტერი, ვაინერი, ნიუსინგი, ზიდკა, ბეერი (გერსდორფი), გრანიტცა, ბლეჰშმიდტი, კრემერი.

„დინამო": გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი მ. ვლაიჩი (იუგოსლავია).

გაფრთხილებული არიან ზიდატი, ქორიძე.

მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა დაძაბული ბრძოლა ორმხრივი იერიშებით. ტემპი მაღალი იყო, ტრიბუნები ხმაურით ახდენდნენ რეაგირებას ბრძოლის რთულ პერიპეტიებზე.

დინამოელები ახლოს იყვნენ წარმატებასთან მე-14 წუთზე, როცა გათამაშებული იქნა შესანიშნავად ჩაფიქრებული, ტემპიანი კომბინაცია. ქორიძემ გადააწოდა ყიფიანს, ამ უკანასკნელმა — გუცაევს, — გუცაევმა, რომელიც მარცხენა ფლანგზე იმყოფებოდა, მარჯვნივ გადაიყვანა ბურთი, სადაც იგი მიიღო მ. მაჩაიძემ. თბილისელთა კაპიტნის უძლიერესი დარტყმა ზედა ძელს მოხვდა.

მასპინძლები კარგახნის მანძილზე მინდვრის შუაგულს ვერ სცდებოდნენ და დინამოელთა აქტიური თამაშის გამო ჯერ კიდევ საჯარიმო მოედნამდე კარგავდნენ ბურთს, სტუმრები კი ხშირად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს.

35-ე წუთზე ყიფიანმა ზუსტად გაიყვანა შენგელია გარღვევაზე. დინამოელი გაექცა მეტოქეებს და პირისპირ გადიოდა მეკარე ნიგბურთან, როცა მარჯვენა მცველმა ზიდატმა სტაცა ხელი მას მაისურში და წააქცია. მცველმა აშკარა ხიფათს გადაარჩინა თავისი გუნდი, თუმცა ეს მას გაფრთხილების ფასად დაუჯდა.

მასპინძლები ამ შემთხვევის გარდაც ხშირად ჯარიმდებოდნენ, ვინაიდან სისტემატურად არღვევდნენ წესს მეტოქესთან ბრძოლის დროს. მსაჯს მრავალი საჯარიმო დარტყმის დანიშვნა მოუხდა „ჰერტას" კარისკენ.

მიმდინარეობდა შეხვედრის 42-ე წუთი, როცა დინამოელებმა მინდვრის შუაგულში ელემენტარულ სიტუაციაში დაკარგეს ბურთი. იგი ხელთ იგდო ბრიუკმა და წინ, დინამოელთა საჯარიმო მოედანზე გადასცა ნიუსინგს. ეს ადგილი დაუცველი აღმოჩნდა, ნიუსინგმაც დაახლოებით 14 მეტრიდან შეუფერხებლად დაარტყა მიზანში — 1:0.

ანალოგიური ტექნიკური შეცდომის შედეგი იყო მეორე გოლიც, რომელიც გრანიტცამ გაიტანა 63-ე წუთზე: ბურთი ჰქონდა მ. მაჩაიძეს. მან იგი გადააწოდა კანთელაძეს, კანთელაძემ დაარტყა და გადაცემა ჩაიგდო „ჰერტას" ცენტრალურმა თავდამსხმელმა გრანიტცამ. ხიფათის სახსნელად მოქმედების ადგილისკენ გაეშურა ჩივაძე, მაგრამ გრანიტცამ მოასწრო და დაბალი ბურთი გაგზავნა ბადეში — 2:0.

დინამოელებმა ამ მეორე მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს, რამდენიმე ძნელი მომენტის ლიკვიდირება მოუხდა მეკარე ნიგბურს და მცველებს. ბოლო 10 წუთი მთლიანად „ჰერტას" კართან მიმდინარეობდა, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში არ მოხერხდა.

„ჰერტამ" მიზანს მიაღწია და სასურველი გამარჯვებაც მოიპოვა, ამასთან მისმა მწვრთნელმა კ. კლიოტცერმა აღნიშნა: „ჩემმა ფეხბურთელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს, რაც კი ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე გვქონია". მაგრამ საყურადღებოა თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელის ნ. ახალკაცის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც: „ჰერტა" ძლიერი გუნდია. მისმა მოთამაშეებმა მატჩი სწრაფი ტემპით და მოფიქრებულად წარმართეს. ანგარიში რომ 0:3 ყოფილიყო, ნაკლები იმედი გვექნებოდა, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ განმეორებითი მატჩისთვის საბოლოო გამარჯვების შანსები გაგვაჩნია".

* * *

18 ოქტომბერს კიევის დინამოელებს ჩემპიონთა თასის მატჩი ჰქონდათ ხარკოვის „მეტალისტის" სტადიონზე შვეციის ჩემპიონთან — „მალმიოსთან". კიეველებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს პირველი ტაიმი და რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, სადაც ბრწყინვალედ თამაშობდა მეკარე მელერი. შესვენების შემდეგ შვედებმა უფრო რაციონალურად ააგეს თამაში და შედარებით გამოასწორეს მდგომარეობა. საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება და ყველაფერს გადაწყვეტს მომავალი განმეორებითი შეხვედრა.

* * *

ამავე დღეს მოსკოვში ითამაშეს ადგილობრივმა „ტორპედომ" და დასავლეთ გერმანიის კლუბმა „შტუტგარტმა" (უეფა-ს თასი).

მიმდინარეობდა მე-2 წუთი, როცა ტორპედოელმა ბუტურლაკინმა საჯარიმო დარტყმით მარჯვენა ფლანგზე მიაწოდა ბურთი, აქ უხეში შეცდომა დაუშვა მეკარე როლედერმა და ვასილევმა თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი გერმანელთა კარში — 1:0. 27-ე წუთზე, სტუმრების ერთ-ერთი იერიშისას, არაზუსტად ითამაშა უკვე ტორპედოელთა მეკარე ზარაპინმა და ამ მოულოდნელი ხელსაყრელი შანსით კი კარგად ისარგებლა ჰიონესმა — 1:1. შესვენების შემდეგ ტორპედოელები ბევრს და ენერგიულად უტევდნენ, ერთ-ერთი იერიში 62-ე წუთზე დამთავრდა სახაროვის ზუსტი დარტყმით — 2:1.

ზემოჩამოთვლილი საბჭოთა გუნდები განმეორებით მატჩებს ითამაშებენ 1 ნოემბერს თბილისში, მალმიოში და შტუტგარტში.

მოგვყავს ევროპის საკლუბო ტურნირების 18 ოქტომბრის შეხვედრათა შედეგები:

## ჩემპიონთა თასი

### მერვედფინალი, I ტური

„დინამო" (კიევი) — „მალმიო" (შვეცია) 0:0.

აეკ (საბერძნეთი) — „ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) 1:2.

„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — ფშვ „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 0:0.

„ლოკომოტივი" (სოფია, ბულგარეთი) — „კიოლნი" (გფრ) 0:1.

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია) 3:1.

„ბოჰემიანსი" (ირლანდია) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ) 0:0.

„ზბროიოვკა" (ჩეხოსლოვაკია) — „ვისლა" (პოლონეთი) 2:2.

„აუსტრია" (ავსტრია) — „ლილესტრიომი" (ნორვეგია) 4:1.

## თასების თასი

### მერვედფინალი, I ტური

„ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია) — „შემროკ როვერსი" (ირლანდია) 3:0.

„იფსვიჩი" (ინგლისი) — „სვაროვსკი-ვაკერი" (ავსტრია) 1:0.

„სერვეტი" (შვეიცარია) — „ნანსი" (საფრანგეთი) 2:1.

„ანდერლეხტი" (ბელგია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 3:0.

„ინტერნაციონალე" (იტალია) — „ბოდე გლიმტი" (ნორვეგია) 5:0.

„ფორტუნა" (გფრ) — „აბერდინი" (შოტლანდია) 3:0.

„ბევერენ ვაასი" (ბელგია) — „რიეკა" (იუგოსლავია) 0:0.

„მაგდებურგი" (გდრ) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 4:0.

## უეფა-ს თასი

### მეთექვსმეტედფინალი, I ტური

„ჰერტა" (დას. ბერლინი) — „დინამო" (თბილისი) 2:0.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „შტუტგარტი" (გფრ) 2:1.

„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) 0:0.

„ევერტონი" (ინგლისი) — „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) 2:1.

„არჯესი" (რუმინეთი) — „ვალენსია" (ესპანეთი) 2:1.

„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ლოზანა" (შვეიცარია) 1:0.

„სპორტინგი" (ბრაგა, პორტუგალია) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი) 0:2.

„რესინგი" (სტრასბურგი, საფრანგეთი) — „ჰიბერნიანი" (შოტლანდია) 2:0.

„რებლი" (ხიხონი, ესპანეთი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 0:1.

„კარლ ცეისი" (გდრ) — „დუისბურგი" (გფრ) 0:0.

„კუოპიო პალოსეურა" (ფინეთი) — „ესბერგი" (დანია) 0:2.

„მანჩესტერ სიტი" (ინგლისი) — „სტანდარდი" (ბელგია) 4:0.

„ჰონვედი" (უნგრეთი) — „პოლიტექნიკა" (ტიმიშოარა, რუმინეთი) 4:0.

„ჰაიდუკი" (იუგოსლავია) — „არსენალი" (ინგლისი) 2:1.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 1 ნოემბერს.

## უცხოეთის ამბები

**გამოვლინდნენ** ფეხბურთში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ტურნირის მონაწილენი. I ჯგუფში ითამაშებენ პრიზის მარშანდელი მფლობელი — არგენტინის „ბოკა ხუნიორსი", აგრეთვე, „რივერ პლეიტი" (არგენტინა) და „ატლეტიკო მინეირა" (ბრაზილია); II ჯგუფში გამოვლენ: „ალიანსა" (პერუ), „სეროპერტენო" (პარაგვაი) და „დეპორტივო დე კალი" (კოლუმბია). ამ ტურნირში გამარჯვებულები ერთმანეთს შორის ითამაშებენ ფინალში.

**ფეხბურთში** ინგლისის ჩემპიონის „ნოტინჰემ ფორესტის" მწვრთნელმა ბრაიენ კლაფმა სახელი გაითქვა კლუბში სათამაშო და საყოფაცხოვრებო დისციპლინის მკაცრი დაცვით. იგი საგანგებო ყურადღებას აქცევს მოთამაშეთა ურთიერთობას ერთმანეთთან და განსაკუთრებით მათს დამოკიდებულებას მსაჯებთან თამაშის მიმდინარეობისას.

თუ ვინმე შეეკამათა არბიტრს, ბ. კლაფი მყისვე მიმართავს მკაცრ სანქციებს და აჯარიმებს ფეხბურთელს.







**სსრ კავშირის** მოცურავეთა ლიდერად სამართლიანად ითვლება 15 წლის ლენინგრადელი მოსწავლე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს რეკორდსმენი ი. ბოგდანოვა.

წლეულს, აგვისტოში, დასავლეთ ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იულიამ თავის მრავალრიცხოვან ჯილდოებს კიდევ ორი შემატა: 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ყველას აჯობა, თანაც მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 1.10,31. 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში კი მეორე იყო.

* * *

სურათებზე: ი. ბოგდანოვა დისტანციაზე; ბოგდანოვა საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ხშირად კალათბურთს მიმართავს; იულია თავის მწვრთნელ მ. ამიროვასთან ერთად.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.

## I ლიგა

### სსრ კავშირის პირველობა

●

### სტატისტიკური ბლოკნოტში

**მოგვყავს** ქუთაისის ტორპედოელთა მიერ კუიბიშევში ჩატარებული I ლიგის საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩის სტატისტიკური მონაცემები:

კუიბიშევი. 17 ოქტომბერი.

„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:0 (2:0).

„კრილია სოვეტოვი": ლისენჩუკი, იაპრინცევი, სიბგატულინი, აბრამოვი (მაზალოვი), არუთინიანი, პანფილოვი, ელისეევი, კუზნეცოვი, კუპრიანოვი, პილიპკო, ფედისოვი.

„ტორპედო": მეძლიძე, თევზაძე, გოგოლაძე, მელიქია, ფარულავა, სვანაძე, ბურკაძე (ოქროპირაშვილი), ქვირია, კვერნაძე, შელია (გაბიჩვაძე), ებანოიძე.

მსაჯი ს. გალიკოვი (ლენინგრადი).

გოლები: ელისეევი (მე-9 წუთი), კუზნეცოვი (44). 74-ე წუთზე ელისეევმა ვერ გაიტანა პენალტი.

გაფრთხილებულია შელია.

დუბლიორები — 0:1.

# მეტი ყურადღება საექიმო კონტროლს

ისევე, როგორც სპორტის ყველა სხვა სახეობის, ფეხბურთის შემდგომი განვითარებაც ბევრადაა დამოკიდებული საექიმო კონტროლის დარგში მუშაობის სწორად წარმართვაზე. თუ ადრე ჩვენ ვკმაყოფილდებოდით სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლე ფეხბურთელთა ერთჯერადი სამედიცინო შემოწმებით, ახლა ექიმებისა და მწვრთნელთა წინაშე დგება საკითხი შესწავლილი იქნას მთელი რიგი სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები, რომელთა მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს საწვრთნელი პროცესის წარმოება.

მოსწავლე ფეხბურთელთა საექიმო კონტროლის დროს პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სწორი შეფასება. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას (იგულისხმება ბიჭები) დიდი სურვილი აქვს ითამაშოს ფეხბურთი, ამისთვის კი საჭიროა ისინი იყვნენ ჯანმრთელნი, რისი დადგენაც მხოლოდ ღრმა საექიმო შემოწმებით შეიძლება. ფეხბურთში ფიზიკური დატვირთვა თვალსაჩინოდ გაიზარდა, ამიტომ გარდა საექიმო კონტროლში არსებული ფუნქციური სინჯებისა, საჭიროება მოითხოვს ფეხბურთის სკოლებში განისაზღვროს მოსწავლეთა ფიზიკური მუშაობის უნარი, რაც ჯერ კიდევ მცირე მასშტაბით ხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური მუშაობის უნარის დინამიკაში განსაზღვრით შესაძლებელი ხდება საწვრთნელ ვარჯიშზე ფიზიკური დატვირთვის გაზრდა, რასაც სპორტსმენის მომზადების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება.

საექიმო კონტროლის ერთ-ერთი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ე. წ. საექიმო-პედაგოგიური დაკვირვების მეთოდით პერიოდულად შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად წარმოებს საწვრთნელი მეცადინეობის დროს გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილში კუნთური მუშაობის განაწილება. ეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ექიმისა და მწვრთნელის ერთობლივი მუშაობით უნდა ხორციელდებოდეს.

საექიმო კონტროლის წინაშე კიდევ სხვა მრავალი ამოცანაა დასახული, რომელთა საფეხბურთო სკოლების ცხოვრებაში გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალი ოსტატების ყოველმხრივი მომზადების საქმეს.

როგორ გამოიყურება სადღეისოდ ფეხბურთის სკოლებში საექიმო კონტროლის კაბინეტების მუშაობა? ეს კაბინეტები ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ დაკომპლექტებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ სკოლები 2 წყებად მუშაობენ, კაბინეტებში კი განსაზღვრულია ექიმის მხოლოდ ერთი საშტატო ერთეული, კაბინეტებს ხშირად აკლია მედდის შტატი და სხვ. რაც შეეხება მასაჟისტებს, რომელთა მუშაობა ძირითადად დაკავშირებული უნდა იყოს ტრავმირებული ფეხბურთელების აღდგენითს მკურნალობასთან (რეაბილიტაციასთან), ისინი ბავშვთა ფეხბურთის სპორტულ სკოლებში საერთოდ არაა გათვალისწინებული.

ამავე დროს ფეხბურთის განვითარება მოითხოვს სპეციალიზებულ სკოლებთან თანდათან ხდებოდეს თანამედროვე საექიმო კონტროლის კაბინეტების შექმნა. უფრო მეტიც — დღეს ფეხბურთში წვრთნის მეთოდიკის მეცნიერულ საფუძვლებზე დამუშავებისთვის გარდა სპორტული მედიცინის პრაქტიკული მუშაკებისა, საჭიროა მეცნიერთა ჯგუფის აქტიური საქმიანობაც. ამ მიზნით საჭიროა დიდი ფეხბურთის სკოლებთან იქმნებოდეს სპორტული მედიცინის სპეციალური ჯგუფები, რომლებიც შემდგომში ე. წ. მედიკურ-ბიოლოგიური კაბინეტების ჩამოყალიბების საფუძველი გახდება. მართალია, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები სათანადო დახმარებას უწევენ სპორტულ სკოლებს სამედიცინო საკითხების სწორად გადაწყვეტის საქმეში, მაგრამ ისინი ვერ შეცვლიან მედიკურ-ბიოლოგიური კაბინეტების საქმიანობას, რომელთა მუშაობა უნდა ემყარებოდეს ექიმების, ფიზიოლოგების, ბიოქიმიკოსების, ფსიქოლოგების, ბიომექანიკოსებისა და მთელი რიგი სხვა დარგების წარმომადგენელთა კომპლექსური შრომის მონაცემებს.

პირველი ასეთი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგმული იქნა ქ. თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვების ფეხბურთის სკოლაში, სადაც შეიქმნა სპორტული მედიცინის მცირე ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს ფეხბურთელთა საწვრთნელი პროცესის რეგულირების საკითხების შესწავლას. გარდა აღნიშნულისა, სპორტული მედიცინის ჯგუფი დიდ მუშაობას ატარებს მწვრთნელთა და თვით მოსწავლე ფეხბურთელთა შორის წვრთნის ფიზიოლოგიური და ჰიგიენური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით.

ამჟამად დღის წესრიგში დგას საკითხი ზემოაღნიშნულ სკოლაში შეიქმნას სრული საექიმო კონტროლის კაბინეტი. აღნიშნული ღონისძიების გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასზე დაყრდნობით მომავალში შესაძლებელი იქნება მედიკურ-ბიოლოგიური კაბინეტის ჩამოყალიბება. ფეხბურთის სკოლებში საექიმო კონტროლის გაძლიერება საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასთან ერთად შექმნის ყველა პირობას საიმისოდ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ხელი შევუწყოთ ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეს.

**რ. სვანიშვილი,**
**ფეხბურთის საექიმო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.**

**რ. ოქროსცვარიძე,**
**ფეხბურთის სკოლის ექიმი.**

# სერიოზული ბრძოლისათვის...

ტოკიო. „იაპონიის დედაქალაქში დიდი მძლეოსნური შეჯიბრებების ორგანიზაცია და ჩატარება, ჩემი აზრით, უტყუარი დამამტკიცებელია იმისა, რომ აზიის სპორტსმენები სერიოზულად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადაში უმაღლესი ჯილდოების მოსაპოვებლად", — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა საერთაშორისო სამოყვარულო მძლეოსნური ასოციაციის პრეზიდენტმა ადრიან პაულენმა.

ტოკიოს სტადიონზე ორი დღის განმავლობაში 6 ქვეყნის ათლეტთა შეჯიბრებას 70000-მდე მაყურებელი დაესწრო, რაც სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს. პაულენის აზრით, იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ბოლო დროს გადაათვალიერა თავისი მძლეოსნების მზადების სისტემა. თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ ამ ქვეყნის სპორტსმენები საკმაოდ ძლიერ მძლეოსნებად ითვლებოდნენ, ბოლო დროს ჩამორჩენა ალინიშნებოდა. ახლა იაპონელ მძლეოსნებს გამოუჩნდათ „შინაური" დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ტრადიციული გახდება. ამ დამატებითმა სტარტებმა ხელი უნდა შეუწყოს შედეგების ზრდას.

მომავალი წლის მაისში განზრახულია აზიის ქვეყნების ჩემპიონატის ჩატარება მძლეოსნობაში. ამ შეჯიბრებაში ალბათ გამოვლინდებიან ამ კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენები. ამას გარდა, ტოკიოს სტარტების დროს გუნდების ხელმძღვანელებმა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა უკვე განიხილეს წინაოლიმპიური მზადების გეგმები. დიდი ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადას, სადაც მიწვეული იქნებიან ბევრი ქვეყნის სპორტსმენები და მათ შორის განვითარებადი ქვეყნებისაც.

— ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ოლიმპიადისა და სპარტაკიადისთვის მოსკოვის მზადებას, — თქვა პაულენმა. — ჩემის აზრით, ყველაფერი რიგზეა. მჯერა, რომ სამშენებლო სამუშაოები წარმატებით დასრულდება განსაზღვრულ ვადებში. რაც შეეხება რეკორდებს, ოლიმპიადამდე მათ არ უნდა ველოდეთ. შესაძლოა შედეგები გაუმჯობესდეს მხოლოდ გრძელ დისტანციაზე რბენასა და ტყორცნებში. რეკორდების დონე ამჟამად არაჩვეულებრივად მაღალია. მძლეოსნობის თითქმის ყველა დისციპლინაში მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად იდეალური პირობებია საჭირო — უქარო, მზიანი ამინდი, 22-23 გრადუსი ტემპერატურა. ფენომენალური მორბენალი ჰენრი რონო შეცდა წლევანდელ სეზონში, როცა ეგონა, რომ გაზაფხულის კარგ სპორტულ ფორმას რამდენიმე თვის განმავლობაში შეინარჩუნებდა. ვფიქრობ 1978 წლის „ვარსკვლავები" 1979 წელს „მიიმალებიან", თუნდაც ისეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებებში, როგორიცაა მსოფლიოსა და ევროპის თასი, სპარტაკიადა, პანამერიკული თამაშები. მთელი რიგი სპორტსმენები „ჩრდილში" ყოფნას ამჯობინებენ. მათ შორის მეც ოლიმპიური თამაშები მიმაჩნია მთავარ შეჯიბრებად.

ჩვენი ტექნიკური ექსპერტები რამდენჯერმე ჩავლენ მოსკოვში, სადაც შეხვდებიან ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს. ჩემი საზაფხულო გეგმაა სპარტაკიადაზე მძლეოსანთა შეჯიბრებებზე დასწრება.





მშვილდოსნობა სპორტის ოლიმპიურ სახეობათაგან ერთ-ერთი ულამაზესია. საბჭოთა ოსტატებს ამ სახეობაში არაერთი გამარჯვება მოუპოვებიათ სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში. ახლა ჩვენი მშვილდოსნები მოსკოვის ოლიმპიადა-80-ისთვის ემზადებიან. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია. მათ შორის არიან ახალგაზრდა მშვილდოსნებიც — საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ხარკოველი ლ. ნოვიკოვა და ჩიტელი ლ. დაშირაბდანოვა.

• • •

სურათებზე: (ზემოდან) სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ლ. ნოვიკოვა და ლ. დაშირაბდანოვა.

## ჭადრაკი

# ეტლის შეწირვით

### ვ. ქარსელაძის V მემორიალზე

ქუთაისი, 19 ოქტომბერი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირში გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. საერთოდ ეს დღე „მშვიდობიანი" გამოდგა მეტოქეებისათვის: მ. პოდგაეცმა და ვ. ლერნერმა ყაიმით დაასრულეს I ტურის გამოტოვებული პარტია, რ. ხოლმოვი დაუზავდა ა. ლუტიკოვსა და ვ. ოსნოსს (თუმცა ამ უკანასკნელს ყაიმის მისაღწევად ბევრი უსიამოვნო წუთის გადატანა მოუხდა), ს. დოლმატოვი — მ. პოდგაეცს, დ. გედევანიშვილი — ზ. სტურუას.

დღეს, IV ტურში ლუტიკოვ — გ. ზაიჩიკის შეხვედრაში თეთრებით მოთამაშე დიდოსტატმა სიცილიური დაცვის შევენინგენის ვარიანტში მიმართა კერესის შეტევას, მეტოქის მეფეს საშამათო მუქარები შეუქმნა და ეტლის შეწირვით დაავგვირგვინა პარტია. ყაიმზე შეთანხმდნენ ზ. აზმაიფარაშვილი — სტურუა, მ. დვორეცკი — ლერნერი.

რთულ პოზიციაში გადაიდო ბ. გურგენიძე — ი. ესტრინის შეხვედრა, პოდგაეცს მძიმე პოზიცია აქვს გედევანიშვილთან, ოსნოსი დოლმატოვთან ფლობს გარკვეულ უპირატესობას, რომელიც, თუმცა, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს გამარჯვებისთვის. ხოლმოვ — ე. კუფელდის პარტია არ შედგა.

ოთხი ტურის შემდეგ გურგენიძეს აქვს 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლუტიკოვს — 2,5. ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ხოლმოვი, ოსნოსი — 2-2 (1-1), დვორეცკი, ლერნერი და სტურუა — 2-2.

### კვლავ სემიონოვა

ნიკოლაევში სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატში გათამაშდა XII ტური. ლ. სემიონოვამ დაამარცხა თ. ხუგაშვილი, ლ. ზაიცევამ — ი. ერუსლანოვა, ლ. ლისენკომ — ტ. ჩეხოვა, ტ. ზატულოვსკაიამ — მ. წერეთელი, დაზავდნენ ტ. ფომინა — ნ. ტიტორენკო, ლ. პოლნარევა — ე. ფატალიბეკოვა. სამი პარტია გადაიდო.

ჩემპიონატში ისევ სემიონოვა ლიდერობს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, შემდეგ მოდიან: ი. ლევიტინა 8 (1), ტიტორენკო და ფატალიბეკოვა — 7-7, ნ. გურიელი, ტ. ვორონოვა, ლ. ლისენკო — 6,5-6,5 (2-2).

# „წყლის მხატვრები"

სინქრონული ცურვა სპორტის ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა ჩვენს ქვეყანაში. დღეისათვის შექმნილია საკავშირო კომისია, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი საბჭოთა ბალერინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მაია პლისეცკაია. სპორტის ახალი სახეობა შეტანილია ერთიან საკავშირო კლასიფიკაციაშიც. უკვე გაიმართა ე. წ. „წყლის მხატვართა" პირველი შეჯიბრებები — მოსკოვის პირველობა ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე, საქალაქთაშორისო შეხვედრები. დიდი წარმატებით გამოდიან ფიგურული სინქრონული და მხატვრული ცურვის ოსტატები (ხელმძღვანელი ზ. ბარბიერი) თბილისში ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის სარბიელზე. 1979 წელს განზრახულია სინქრონულ ფიგურულ ცურვაში საკავშირო შეჯიბრების — სსრ კავშირის თასის გათამაშების (პირადი პირველობა) ჩატარება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოველ სპორტსმენ ქალთა საჩვენებელი გამოსვლა.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.



## გ. ს. ალექსიძე

გარდაიცვალა ქართული ჭიდაობის ცნობილი ქომაგი, მისი დაუღალავი პოპულარიზატორი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გიგლა სიმონის ძე ალექსიძე.

გიგლა ალექსიძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შუა ქართლის ფალავანთა წარმატებანი. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა, ბრიგადებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში დაეძებდა პერსპექტიულ ჭაბუკებს, დაუღალავად შრომობდა მათი ოსტატობის ამაღლებისთვის.

გიგლა ალექსიძის აღზრდილმა ფალავნებმა ს. ნაკაშაშვილმა, ა. მიხანაშვილმა, ვ. ნასყიდაშვილმა, ა. მახნაზაროვმა, გ. პაპიტაშვილმა, დ. ბერუაშვილმა, გ. ყაზარაშვილმა, გურამ და გუგული ეგნატაშვილებმა, ს. და გ. გურასპაშვილებმა და სხვებმა კიდევ უფრო შორს გაიტანეს გორისა და გორის რაიონის სპორტული დიდება...

გ. ალექსიძის საცხოვრებლად გორში ჩამოსვლა ყველაზე მეტად ჭიდაობის აქაურ მესვეურს, უკვე ხანში შესულ იასონ კაციტაძეს გახარებია. სწორედ მან გადაულოცა არბიტრის სასტვენი გიგლა ალექსიძეს, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტხანს ემსახურებოდა ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული ჭიდაობის აღორძინების საქმეს.

იგი კარგახანს წვრთნიდა გორის „დინამოს" მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს, რომელსაც არაერთხელ უსახელებია მშობლიური ქალაქი.

ქართული ჭიდაობის პატივისმცემელთა გულში მარად დარჩება ეროვნული სპორტის ამაგდარის, ქომაგისა და პოპულარიზატორის გიგლა ალექსიძის ნათელი ხსოვნა.

ამხანაგების ჯგუფი.

## ალპინიზმი

### პირველი ევროპელი ქალი ევერესტზე

31 წლის ვარშაველი ინჟინერ-ელექტრიკოსი ვანდა რუტკევიჩი მესამე ქალია (ამასთან პირველი ევროპელი), რომელიც მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ევერესტზე (8.848 მეტრი ზღვის დონიდან) ავიდა. მამაცმა პოლონელმა ალპინისტმა ევერესტზე იერიში სამხრეთ-აღმოსავლეთის გზით მიიტანა.

### 33 : 22

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩში თავის მოედანზე გაიმარჯვეს ბულგარეთის „თრაკიასთან" (პლოვდივი) — 33:22 (17:12). გამარჯვებულთაგან საუკეთესონი იყვნენ კრავცოვი, მახორინი, ილინი და ჩიგარევი.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ ცენტრში

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 21 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მზიური" (გალი). დასაწყისი 11 ს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ნადიკვარი" (თელავი) 13 ს.

ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 22 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — ასკ (თბილისი). 12 ს. გლდანის სტადიონი. სპორტსკოლა (გლდანი) — „გურია" (ლანჩხუთი) 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 13332